[კუბა, ბოლივია, ეკვადორი]

ახლა დავუბრუნდეთ ისევ „უნივერსაიდის“ სტადიონზე შემდგარ მატჩს, რომელიც დაიწყო ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე. ჩვენი თხოვნის მიუხედავად დანიშნული ადგილობრივი მსაჯი აშკარად უჭერდა მხარს „ვინტერსმანის“ ფეხბურთელებს და ყურადღების გარეშე ტოვებდა მოთამაშეთა მიერ წესების უხეშ დარღვევას. ქართველ ფეხბურთელთა ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად (პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ) ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. მცველები მოწინააღმდეგეების კარის აღებით იყვნენ გართული და მათი ერთ–ერთი კონტრშეტევის დროს საჯარიმო მოედანზე მარტოდ დარჩენილმა ხურცილავამ ვეღარ უზრუნველყო კარის მისადგომების დაცვა.

ჩვენი მოთამაშეები გამოაფხიზლა ამან და უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ დათუნაშვილმა გაათანაბრა ანგარიში. გამარჯვების შანსის დაკარგვამ გააცოფა ბოლივიელი ფეხბურთელები და თამაში აშკარა ხულიგნობაში გადაიზარდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მარჯვენა ინსაიდმა თავიც კი გაარტყა გ. ხოჭოლავას. ამ უმსგავსოების დანახვაზე კარიდან გამოიჭრა ს. კოტრიკაძე, იქვე გაჩნდა ბ. სიჭინავა, მოწინააღმდეგეთა გუნდის მოთამაშეები. მხოლოდ მწვრთნელებისა და პოლიციელების ჩარევამ აცდინა გუნდები სერიოზულ ინციდენტს.

მესამე მატჩი, რომელიც პირობისამებრ ბავშვთა ქალაქის მშენებლობის დასახმარებლად გავმართეთ, განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარეს ჩვენმა დინამოელებმა, მათ ანგარით 5:2 დაამარცხეს ლა–პასის საკლუბო გუნდების ნაკრები და გათენებისთანავე გეზი აიღეს პე??????

???ანო. სხვადასხვა გაზეთის მიმომხილველები ერთ რამეში მაინც თანხმდებოდნენ – „კუბასა და ბოლივიაში დაუმარცხებელი დინამოელები დიდი ანგარიშით დამარცხდებიან „ემელენის“ ფეხბურთელებთანო“.

ამგვარმა ბაქიობამ ჩვენი ბიჭებიც გააგულისა და „გუიაკილის“ სტადიონზე 60 ათასი მაყურებლის თვალწინ დაამსხვრიეს მათი სანაქებო „ემელენის“ უძლეველობის მითი.

მატჩის საბოლოო ანგარიშმა (6:2) თბილისელთა სასარგებლოდ გულშემატკივრები ადგილზე გააქვავა და ბოლო მოეღო ორი ორკესტრის ჯაზურ „კრიმანჭულს“, რომელსაც სპეციალური პისტოლეტების ბათქაბუთქი ერთვოდა.

28 დეკემბერი, 1961 წ.